საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/196 "17" დეკემბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 2 აგვისტოს №1/91 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 2 აგვისტოს №1/91 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საერთო სასამართლოებში დასრულებულ საქმეთა შენახვის წესის“:

ა) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ პუნქტში აღნიშნული საქმეები ინახება შესაბამისი ვადით და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ექვემდებარება სრულად განადგურებას:

№	საქმის კატეგორია	შენახვის ვადა
1	მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმეები	3 წ.
2	ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმეები	3 წ.
3	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები	3 წ.
4	სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებასა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები	5 წ.“;

ბ) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6.

დეპარტამენტის არქივისათვის საქმეთა გადაცემამდე, საქმეთა შენახვა, სათანადო მოვლა, დაცვა, საქმეთა მატერიალური აღწერა და მისი ელექტრონული სიის სახით არქივისთვის გადაცემა ევალება საქმის განმხილველ სასამართლოს, ხოლო საქმეთა გადაცემის შემდეგ დეპარტამენტის არქივი უზრუნველყოფს საქმეთა შენახვას, პრაქტიკული მიზნით მათ გამოყენებას, დაცვა-დამუშავებას და მუდმივად შესანახად გადაცემას.“.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ვადები გავრცელდეს ამ განკარგულების ამოქმედებისათვის საერთო სასამართლოებსა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საერთო სასამართლოების არქივში დაცულ დასრულებულ საქმეებზე.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი